ფრანგი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი № 75 (11686) | ოთხშაბათი, 30 მარტი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არლის მცხოვრებლები ყვავილებს უძღვნიან ნ. ს. ხრუშჩოვს.
ფოტო „იზვესტიის“ სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ს. სმირნოვისა. (მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

ნ. ს. ხრუშჩოვი საფრანგეთში

ლიონი, 28 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნაშუადღევს ქალაქ დიჟონის ლონგვის აეროდრომზე დაეშვა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სპეციალური ლაინერი „კარაველი“, რომლიც მარსელიდან ჩამოვიდნენ საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები.

აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის მეთაურს შეხვდნენ პრეფექტი დიუმონი, მეექვსე სამხედრო ოლქის სარდალი გენერალი დე ვიდერსპაკი და სხვა პირები. ჩამწკრივებული იყო სპატიო ყარაული ესკადრილია „ნორმანდია-ნემანის“ ყოფილი მფრინავის სამი საბჭოთა ორდენისა და სპატიო ლეგიონის ორდენის კავალერის რ. მარტენის მეთაურობით.

აეროდრომიდან ნ. ს. ხრუშჩოვი წავიდა ყვერე-შამბერტენის რკინიგზის კვანძის რაიონში. მას ახლდა საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის მინისტრი რობერ ბიურონი. ნ. ს. ხრუშჩოვმა დათვალიერა რკინიგზის კვანძის ნაგებობანი და მოძრავი შემადგენლობა.

შემდეგ კორტეჟი წავიდა დიჟონში. ქალაქის ქუჩებში საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულთბილად მიესალმებოდა დიჟონის მრავალი მცხოვრები. ყველგან გაისმის მისასალმებელი შეძახილები. კორტეჟი შედის მოედანზე ძველებური ცხე-კოშკის წინ, სადაც მოთავსებულია ქალაქის რატუშა. აქ ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ დიჟონის მერის პირველი მოადგილე ვიგე და სხვა ოფიციალური პირები.

ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები, რომელთა შორის იყვნენ საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის მინისტრი ბიურონი, უპორტფელო მინისტრი ქაკინო, ადიან საღღესასწაულო დარბაზში. აქ საბჭოთა სტუმარს წარუდგინეს მუნიციპალური საბჭოს და კომ დ' ორის დეპარტამენტის საბჭოს წევრები, ქალაქისა და დეპარტამენტის ყველაზე პატივსაცემი ადამიანები. ნ. ს. ხრუშჩოვმა და მერის მოადგილემ ვიგემ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ამ დროს მოედანზე მოდიან ადამიანთა სულ ახალი და ახალი ჯგუფები, რომლებსაც სურთ მიესალმონ საბჭოთა სტუმარს. უძველესი სასახლის ეიბერთელა მოედანი, სადაც ეწყობა საზეიმო ცერემონია, უკვე გაჩენილია ხალხით. სახელგის სახურავებსა და ლავგარდანებზე ათობით ადამიანია. გარშემო მომიჯნავე ქუჩებში დიდძალი ხალხია. ყველგან სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მისალმების შეძახილები: „გაუმარჯოს მეგობრობას!“, „ჩვენც და თქვენც მშვიდობის მომხრენი ვართ“. ახალგაზრდობის დიდი ჯგუფი, რომელიც თანმიმდევრობით სწვევს მაღლა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ალმებს, გაიძახის: „დიდი ერი — სტალინგრადი!“. როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ დიჟონის მუნიციპალიტეტმა და სტალინგრადის საქალაქო საბჭომ დაიდეს ორი ქალაქის მეგობრობისა და დაძმობილების ხელშეკრულება. ამ ქალაქებმა სახელი გაითქვეს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის წლებში. შეკრებილნი მოითხოვენ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი გამოვიდეს ივანაზე. ნიკიტა სერგის-ძე აივნიდან ხელის ქნევით მიესალმება შეკრებილთ. გაისმის მჭუხარე ტაში.

დიჟონი, 28 მარტი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტები ვ. სისოევი და გ. დრაგუნოვი). ქალაქ დიჟონის მუნიციპალურ საბჭოში გაიმართა დარბაზობა, რომლის დროსაც ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმა ამ ქალაქის მერის მოადგილე ვეიე. ქალაქ დიჟონის მერია კანონიკი კირი, რომელიც მუდამ მხარს უჭერდა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაახლოებას, მაგრამ დღეს კირი პირადად ვერ შეხვდა ნ. ს. ხრუშჩოვს, თუმცა მანამდე მას არაერთგზის განუცხადებია, რომ სურს შეხვდეს მას. კლერიკალურმა ზედაფენამ გავლენა მოახდინა მერზე და მოსთხოვა, რომ არ შეხვედროდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იმ საფუძვლით, რომ იგი კომუნისტია, მიუხედავად კანონიკ კირის წინააღმდეგობისა, რომელიც უარყოფდა კლერიკალთა და საეპისკოპოსოს ამ მოთხოვნებს, დღეს კირს შესაძლებლობა არ ჰქონდა პირადად მასალმებოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს. როგორც ჟურნალისტები ამბობენ, კანონიკი კირი „მოიტაცეს“, რათა მოესპოთ მისთვის ეს შესაძლებლობა.

მესი სახელით ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმა მერის მოადგილე.

მხოლოდ მშვიდობას შეუძლია მოგვცეს საშუალება, თქვა ვეიემ, კვლავაც ვიაროთ ჩვენი ქვეყნის განვითარების გზით. ეს მშვიდობა ჩვენ ისევე მხურვალედ გვსურს, როგორც ყველა სხვა ადამიანს. დიჟონისათვის მთელი მისი ისტორიის მანძილზე ცნობილია შემოსევის საშინელებანი. როცა ამას ვამბობთ, მივმართავთ იმ ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომლის მიმართ ფრანგი ხალხი მუდამ იყო გაჯასჭველული დიდი და ღრმა სიმპათიით. ჩვენ მივმართავთ წინაალმდეგობის მამაც მონაწილეს, რომელიც თავის ქვეყანას ისევე იცავს, როგორც ჩვენ ვიცავთ ჩვენს ქვეყანას. როგორც ყოველ გონიერ ფრანგს, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ არ შეიძლებოდეს გამოინახოს ორ ასეთ ერს შორის ნიადაგი გაგებისათვის, კეთილ ნებისა და ნდობისათვის, რაც საჭიროა მტკიცე მშვიდობის ასაშენებლად.

მეგობრობის სიმბოლოდ დიჟონის მერის მოადგილემ ნ. ს. ხრუშჩოვს კანონიკ კირის სახელით მიართვა თასი. თასთან ერთად მან გადასცა წერილის ტექსტი.

ბ-ნ კირის „წერილში ნათქვამია: „მოხარული ვარ და ძლიერ ვამაყობ იმით, რომ შემიძლია გითხრათ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ისტორიული რიონის ამ უძველეს დედაქალაქში, რომელიც ყოველთვის გულთბილად ხვდებოდა გამოჩენილ სტუმრებს.

პირადად უნდა გითხრათ, რომ მე განსაკუთრებული სიმპათია მაქვს რუსი ხალხისადმი და ეს მრავალი მიზეზით აიხსნება.

უწინარეს ყოვლისა, მე შესაძლებლობა მქონდა ვყოფილიყავი რუსების გვერდით, როცა მათ გაბედული და შეუპოვარი იერიში მიჰქონდათ ბრიმონტის ფრონტზე 1917 წელს. მე აგრეთვე შესაძლებლობა მქონდა მათი უკანდახევის მომენტში მომემარაგებინა ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში და ამ კონტაქტის შედეგად ჩაისახა ურთიერთმეგობრობა, რომელიც არასოდეს არ დარღვეულა.

უფრო მეტიც, მე ვიცი, რომ თქვენმა ფასდაუდებელმა თანამშრომლობამ ფარდოდ შეუწყო ხელი ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას. თქვენმა გაბედულმა ხალხმა დაამარცხა 265 გერმანული დივიზია, და ქალაქი სტალინგრადი, კერძოდ, იგივე იყო, რაც ჩვენთვის იყო ვერდენი პირველი მსოფლიო ომის დროს — მან საბოლოოდ შეაჩერა დამპყრობლები.

ჩვენ, ფრანგები, ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ ამ ისტორიულ ფურცელს. და სწორედ ამიტომ ყოველ წელს გამარჯვების წლისთავზე საბჭოთა ალმი საფრანგეთის ალმის გვერდით ფრიალებს ჩვენი ქალაქის რატუშის ფასადზე.

მე შემიძლია საესებით გულწრფელადაც კი ვთქვა, რომ რუსეთის არმიას საბოლოოდ რომ არ დაეხევინებინა უკან მტრისათვის, ჩვენ, ფრანგები, ჯერ კიდევ ვიქნებოდით უცხოელთა ბატონობაში. საქმე ის არის, რომ მე რაიხის ერთმა დიპლომატმა ფრიად ზუსტად მცნობა, რომ ჰიტლერი ამზადებდა ხელშეკრულებას, რომლის თანახმად საფრანგეთი ოკუპირებული უნდა ყოფილიყო 25 წლის განმავლობაში. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მადლობა გიძღვნათ იმ უდიდესი როლისათვის, რომელიც თქვენმა არმიებმა იკისრეს საბოლოო გამარჯვების საქმეში.

დღეს მინდა თქვენი სახით მივესალმო ცივი ომის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მოწინააღმდეგეს, ცივი ომისა, რომელიც ძვირად უჯდება ყველა ეროვნებას და არავისთვის არაფერი არ მოაქვს.

თქვენ, ბ-ნო თავმჯდომარე, სრული საფუძვლით გადაწყვიტეთ კავშირი გაგწყვიტათ მოუქნელი დიპლომატიის წინაღდეგ კანონებთან, რომელიც გაუბედავად ტაეპნიდა ერთ ადგილს, და დაგეწყოთ ლაშქრობა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

აი რატომ მივესალმები თქვენს მოღვაწეობას, რომელიც გაშმენდილია ოფიციალური ფორმულებისაგან, შესაძლოა დელეკატურ. მაგრამ. უეჭველია, ეფექტიან დარგში. მე თვითონ ერთი ხანი, რა თქმა უნდა, შეზღუდული ჩარჩოებით, ხელი მოვკიდე იმავე საქმეს, ე. ი. მშვიდობიანი აზროვნების შექმნას საზღვრების ორივე მხარეზე. რომლებიც ჯერ კიდევ თაშაევენ ხალხებს.

მე ვცდილობდი, კერძოდ, პრაქტიკაში შემოველო დაძმობილება, რაც საშუალებას აძლევს ხალხს შეხვდნენ ერთმანეთს, უკეთ გაიცნონ, უკეთ შეაფასონ ერთმანეთი და გულითადად ისაუბრონ. მიუხედავად იმისა, თუ რა ეკონომიური, ადმინისტრაციული და სოციალური მეთოდები აქვს სსუდასხვა ხალხს, ჩვენ აღფრთოვანებული ვართ ერთი და იმავე სურვილით — მივცეთ მთელ კაცობრიობას მშვიდობისა და თავისუფლების ეპოქა.

შარშან, როგორც იცით, მე მიმიწვიეს დიდების ქალაქ სტალინგრადში, რათა ეს ქალაქი დაძმობილებოდა დიჟონს. გარემოებამ არ მომცა საშუალება განვახორციელებინა ეს მოგზაურობა. მაგრამ მეგობრობის ოქმი ოფიციალურად ხელმოწერილ იქნა დიჟონში სტალინგრადის მერის ვიზიტის დროს. ეს ჟესტი გამოხატავს ჩვენს სურვილს შეეუთანხმდეთ თქვენს ხალხს, რომელმაც წარსულის მთელ რიგ გარემოებებში დაუმტკიცა საფრანგეთს თავისი პატივისცემა და თავისი სიმპათია. და სწორედ ამ მიზნით დღეს ქალაქი დიჟონი გადმოგცემთ თქვენ თავის საუკეთესო სურვილებს და გისურვებთ კვლავაც განაგრძოთ თქვენი მოღვაწეობა ცივი ომის წინააღმდეგ.

სიტყვა ეძლევა ნ. ს. ხრუშჩოვს. იგი ამბობს:

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო მუნიციპალური საბჭოს ბატონო წევრებო!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

არ დავფარავ, რომ ჩვენ ძალიან გვიხდიდა დიჟონში ჩამოსვლა. ბევრი რამ კარგი გვსმენია თქვენი ქალაქის, მისი მერის, მისი სტუმართმოყვარე მცხოვრებლების შესახებ. დიჟონი ცნობილია ჩვენთვის როგორც ბურგუნდიის ძველი დედაქალაქი, როგორც განსაკუთრებით მდიდარი ისტორიის ქალაქი და ფრანგული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი.

ბურგუნდია უხსოვარი დროიდან განთქმულია თავისი შესანიშნავი ღვინოებით, და ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ შესანიშნავი ბურგუნდიელი მეღვინეების ოსტატობას, რომელთაგან ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია.

თქვენს ძველ ქალაქში, როგორც დღეს დავრწმუნდით, სიძველე შეხამებულია თანამედროვეობის უაღრესად მოწინავე მიღწევებთან. ჩვენ ვნახეთ საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობილი უბნები, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით საუცხოოდ ავტომატიზებული რკინიგზის კვანძი.

ჩვენ ვიცნობთ დიჟონს როგორც მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მთელი პლეადის სამშობლოს. დიჟონი ცნობილია აგრეთვე როგორც მგზნებარე ფრანგი პატრიოტების ქალაქი. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დიჟონელებს არაერთხელ მოუხდათ დაეცვათ თავიანთი ქალაქი უცხოელთა შემოსევისაგან. დიჟონელებმა განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს 1870 წელს, როცა ისინი ჰარიბალდის ვოლონტიორებთან ერთად იბრძოდნენ საფრანგეთში შემოჭრილი პრუსიის ჯარების წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა ჩვენი ქვეყნების ხალხები ერთობლივად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, დიჟონი იყო გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისადმი წინააღმდეგობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი. აქ, დიჟონის მიდამოებში, პატრიზანულ რაზმებად გაერთიანებული საბჭოთა სამხედრო ტყვეები ფრანგი პატრიოტების მხარდამხარ იბრძოდნენ ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მასპინძლებო, გითხრათ გულახდილად და არა პირფერობით: ჩვენ პატივად მიგვაჩნია გულითადი, მეგობრული მიღება თქვენს შესანიშნავ ქალაქში. ჩვენ ეს მიგვაჩნია საბჭოთა ადამიანებისადმი ფრანგების მეგობრული გრძნობებისა და პატივისცემის დამაჯერებელ გამოვლინებად, ორი დიდი გმირი და ამასთან მშვიდობისმოყვარე ხალხის მტკიცე მეგობრობის განვითარების კარგ საფუძვლად.

ჩვენი ხალხების მეგობრობა განმტკიცებულია საბრძოლო თანამშრომლობით, ჩვენი ხალხების ურთიერთ სიმპათიით, ჰუმანიზმით გამსჭვალული ჩვენი კულტურების სიახლოვით. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ და განვავითაროთ ეს მეგობრობა, რადგან ჩვენი ქვეყნების მოქმედების ერთობაზე ბევრად არის დამოკიდებული მშვიდობის ბედი არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

ჩვენ მივესალმებით ჩვენი ხალხების თანამშრომლობას. ჩვენი აზრით, უნდა წავახალისოთ ურთიერთობის ისეთი ფორმაც, როგორიც არის ქალაქების დანათესავება. ჩვენ მივესალმეთ ცნობას, რომ საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი დიჟონი გახდა ჩვენი გმირი ქალაქის სტალინგრადის ღვიძლი ძმა.

სტალინგრადი ფაშიზმზე ჩვენი დიადი გამარჯვების სიმბოლოა. სასიამოვნოა გავიხსენოთ, რომ 1944 წელს გენერალმა დე გოლმა სტალინგრადში ყოფნის დროს მის მცხოვრებლებს გადასცა მემორიალური დაფა წარწერით: „სტალინგრადს—მადლიერი საფრანგეთი“. ჩვენ მოხარული ვართ, რომ დიჟონსა და სტალინგრადს შორის დამყარდა და წარმატებით ვითარდება მტკიცე მეგობრული კავშირი. მე მიამბეს, რომ სტალინგრადელთა დელეგაციამ, რომელიც დიჟონს ეწვია 1959 წლის შემოდგომაზე, თქვენი ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე დარგო ალვის ხე ორი ქალაქის მეგობრობის ნიშნად. ჩვენი სურვილია, რომ ეს პატარა ხე გაიზარდოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დიდ ხედ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ დიჟონისა და სტალინგრადის დანათესავებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა თქვენი ქალაქის მერმა, საფრანგეთის ეროვნული კრების უხუცესმა დეპუტატმა, პატივცემულმა ფელიქს კირმა. საბჭოთა ადამიანებისათვის კარგად ცნობილია კანონიკ კირის მამაცობა და უშიშარობა, რაც მან გამოიჩინა გერმანელ აგრესორთა წინააღმდეგ ორი ომის დროს. ბატონი კირი აქტიურ მონაწილეობას იღებდა წინააღმდეგობის მოძრაობაში და პირველი ფრანგული ტანკით შეიდა დიჟონში მისი განთავისუფლების დროს.

დღეს ფელიქს კირი თავის დაუცხრომელ ენერგიას ახმარს მშვიდობისათვის ბრძოლას. ახლა ამისათვის მეტი შესაძლებლობაა, ვიდრე ოდესმე წინათ. ხალხების დიდ ღონისძიებათა შედეგად მიღწეულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და გადადგმულია დიდი ნაბიჯები „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის, რომლის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ სამართლიანად თქვა დიდად პატივცემულმა კირმა: „იგი ძვირად უჯდება მთელ მსოფლიოს და არავის არაფერს არ აძლევს“. „ცივი ომის“ ლიკვიდაცია დიდი ნაბიჯია მტკიცე მშვიდობისაკენ. მართალია ბატონი კირი, როცა ამბობს: „მშვიდობა თავისთავად როდი წარმოიშობა, იგი უნდა შეიქმნას“. ამიტომ ყველამ, ვისაც არა სურს ახალი ომები და ატომური ნგრევა, უნდა გაერთიანოს თავისი ღონისძიებანი!

ნება მიბოძეთ გადმოგცეთ თქვენ, დიჟონის მცხოვრებლებს, საბჭოთა ხალხის სალამი და მადლობა გიძღვნათ თქვენ და თქვენს მერს. ბატონ კირს მოწვევისათვის თქვენს შესანიშნავ ქალაქში და იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომლითაც გვხვდებით ჩვენ, საბჭოთა კავშირს წარმომადგენლებს. ბურგუნდიის ძველისძველ მიწა-წყალზე.

გამოვთქვამ გულწრფელ მადლობას სამახსოვრო საჩუქრისათვის, რომელიც გადმომეცით ქალაქის მერის კანონიკის ბ-ნ კირის სახელით.

ძალიან ვნანობ, რომ ვერ შევძელი და ალბათ ვერ შევძლებ შევხვდე ამ შესანიშნავ ადამიანს, რომელმაც განსაკუთრებული პატრიოტიზმი და შეუფრეკელი ნება გამოიჩინა საფრანგეთისათვის ბრძოლაში, ფრანგი ხალხისათვის ბრძოლაში.

ჩემთვის განსაკუთრებით გასაგებია მღვდელ კირის განცდები. მან ბევრი ომ გადაიტანა თავისი ქალაქ დიჟონისათვის ბრძოლაში. დიჟონმა კავშირი დაამყარა სტალინგრადთან და ჩემთვის, სტალინგრადის დამცველისათვის, ომის დროს მე სტალინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ვიყავი, ძალიან კარგად არის გასაგები ის სიძნელეები, რომლებიც თქვენმა ხალხმა გადაიტანა თავისი სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ყოფნა და სასიამოვნოა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი ხალხის ფიქრები და ჩემი, როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფიქრები, და მსოფლიოს მღვდლების ფიქრები და ღონისძიებანი მიდიან ერთი მიმართულებით — ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, უზრუნველვყოთ მშვიდობა ხალხთა შორის, უზრუნველვყოთ ბედნიერება ადამიანებისათვის.

ახლა მღვდელი კირი ფიზიკურად აქ არ არის. მაგრამ სულიერად იგი ჩვენთან არის. სულიერად იგი ჩემთან არის. მე ვეხვევი და ვფლოცავ მას იმ ღონისძიებების გამო, რომლებიც მან განახორციელა მშვიდობისათვის ბრძოლაში, საფრანგეთის სიდიადისათვის ბრძოლაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

მინდა გადმოგცეთ თქვენ და თქვენს კანონიკს ბ-ნ კირს მცირე საჩუქარი — მშენებლობის პროცესში მყოფი სტალინგრადის სუვენირი ჩვენი აქ ყოფნის სამახსოვროდ, ჩვენი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ნიშნად. გთხოვთ მიიღოთ ეს სამახსოვრო საჩუქარი. **(ხანგრძლივი ტაში).**

დაე ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ტრადიციული მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მშვიდობისმოყვარე ხალხებს შორის! **(ხანგრძლივი ტაში).**

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კრებიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1960 წლის 5 მაისს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1960 წ. 29 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უმცროსი სერჟანტის ა. რ. ზიგანშინის და რიგითი მებრძოლების ფ. გ. პოპლავსკის, ა. თ. კრიუჩკოვსკისა და ი. ე. ფედოტოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეომრის მოვალეობის შესრულების დროს მამაცობისა და სტიქიონის ძალებთან ბრძოლაში სიმტკიცის გამოჩენისათვის **დაჯილდოვდნენ:**

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. უმცროსი სერჟანტი ასხატ რახიმზიანის ძე ზიგანშინი.
2. რიგითი მებრძოლი ფილიპე გრიგოლის ძე პოპლავსკი.
3. რიგითი მებრძოლი ანატოლი თევდორეს ძე კრიუჩკოვსკი.
4. რიგითი მებრძოლი ივანე ექვთიმეს ძე ფედოტოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 29 მარტი.

უპატაკებენ სამშობლოს

◆ **ადიბენის** რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის ვალდებულებანი. 20 მარტისათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 115.5 პროცენტით, რძისა — 104 პროცენტით, კვერცხისა — 211,4 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

◆ **ვანინი** რაიონის მშრომელებმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. 20 მარტისათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 120 პროცენტით, რძისა — 110 პროცენტით, კვერცხისა — 246 პროცენტით. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა მნიშვნელოვნად მეტი ხორცი, რძე და კვერცხი.

◆ **დმანისის** რაიონმა ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. 20 მარტისათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით, რძისა — 100 პროცენტით, კვერცხისა — 225 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

◆ **ჭიათურის** კოლმეურნეობებმა და მოსახლეობამ გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის ვალდებულებანი. ხორცის მიყიდვის ვალდებულება შესრულებულია 202 პროცენტით, რძისა — 109 პროცენტით, კვერცხისა — 171 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

გულითადი შეხვედრა ვერდენში

მეცი, 29 მარტი. საკდესის სპეც. კორ. ვ. სისოევი და გ. დრაგუნოვი იუწყებიან:

დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი დილაადრიანად დიჟონიდან გაფრინდნენ საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში. თვითმფრინავი „კარაველი“ დაეშვა ფრესკატის სამხედრო აეროდრომზე ქალაქ მეცის ახლოს. ჩამოსულთ მიესალმნენ მოზელის დეპარტამენტის პრეფექტი ლაპორტი და მე-6 სამხედრო ოლქის სარდალი გენერალი ლეკოკი. აეროდანქანების კორტეჟი აეროდრომიდანვე გაემართა ვერდენში, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა საფრანგეთისა და გერმანიის ჯარებს შორის.

ლორენიანი ამინდია, ლეგა ღრუბლებს დაუფარავთ ცა, ყინულავს, მთელ გზაზე დგანან ადამიანთა ჯგუფები. ბევრი მთელი ოჯახითურთ მოსულა, თბილად შეუფუთნიათ პლედითა და საბნით ბავშვები. როცა მანქანები ჩაუვლიან ხალხს, გაისმის შეძახილები: „ჩვენ გელოდით“, „სალამი“, „საფრანგეთი-სსრ კავშირი“. ერთ-ერთ მოსახვევზე ელოდა ჯგუფი შეკრებილა. მათ აღუმართავთ ნ. ს. ხრუშჩოვის პორტრეტი, ამოჭრილი გაზეთ „ლუმანიტედან“. პორტრეტს შემოვლებული აქვს ფრანგული და საბჭოთა ალმები და თაფლოვები. კომბინეზონიან მუშათა ჯგუფი ჩამოსულა მშენებარე შენობის ხარაჩოდან. მაღლა უქირავს თავისი ინსტრუმენტი და გულითადი სიტყვებით მიმართავს საბჭოთა სტუმრებს. აეროდანქანები მიდიან ქალაქ მეცში, რომლის მთელი მოსახლეობა ქუჩებში გამოსულა.

მანქანების კორტეჟი შედის პატარა ქალაქ ვერდენში, რომელიც მდებარეობს მდინარე მეზის ველზე ოცდაათ კილომეტრზე საფრანგეთის ჩრდილოეთი საზღვრიდან. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ვერდენი ციხექალაქი გახდა, რომელსაც უნდა დაეცვა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრები. ამ ციხისათვის არაერთხელ შემოუტყაბამთ ალყა. განსაკუთრებით ფართოდ გაითქვა სახელი ვერდენმა პირველი მსოფლიო ომის წლებში. აქ სასტიკი ბრძოლების დროს ორივე მხარეს დაახლოებით მილიონი ჯარისკაცი დაეღუპა. ამ სასტიკ ბრძოლებს მოგვაგონებს ჯარისკაცების საფლავებზე ჩამწკრივებული ჯვრები, მრავალი ძეგლი, მემორიალური დაფები.

კორტეჟი ჩერდება ქალაქ ვერდენის ცენტრში. ქალაქის მერი სენატორი ფრანსუა შლეიტერი და ნ. ს. ხრუშჩოვი ხელს ართმევენ ერთმანეთს, და მიდიან ვერდენთან დაღუპულ ჯარისკაცთა დიდებული ძეგლის კვარცხლბეკთან. ძეგლის წინ მოედანზე შეკრებილი ათასობით ადამიანი, რომელთაც მოაქვთ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ალმები, პლაკატები, ემბლემები. ეი ჭაღარა ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც პიჯაკებზე ორდენების ლენტები აქვთ. მათ უჭირავთ პლაკატი: „ვერდენის ვეტერანები მესალმებიან სტალინგრადის ვეტერანებს“. კიბის საფეხურებზე ნ. ს. ხრუშჩოვი და მასთან ერთად ჩამოსული პირები მდუმარენი დგიან კოშკის შესასვლელთან, რომელიც ძეგლის საფუძველს წარმოადგენს. აქ ორ მაგიდაზე დევს ვეტერანთა წიგნები, რომლებშიც ჩაწერილია ბრძოლის ველზე დაღუპულთა ვინაობა.

ყველანი ელოდებიან ნ. ს. ხრუშჩოვის ტექსტს. ბრძოლის ველზე ერთ-ერთ ბოლო ბრძოლაში ერთ-ერთ ბოლო ბრძოლაში ... ეს ... ბ-ნ ... ...

ბელადი, მასწავლებელი, მეგობარი

საქართველოს მშრომელები — ვ. ი. ლენინს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი გორკაში გასეირნებისას. 1922 წლის აგვისტო-სექტემბერი.

მოსკოვი, კრემლი, ამხ. ლენინს. ასეთი მისამართით უფუფეტ ნაკადად მიდიოდა წერილები, მისალმებანი დიდი ბელადისადმი. სწერდნენ ვ. ი. ლენინს, როგორც ამხანაგს, მეგობარსა და მასწავლებელს ბაკოელი მენავთობეები თუ ბალტიკის მეზღვაურები, თბილისელი რკინიგზელები თუ ლუგანსკელი მეშახტეები... მშრომელთა ამ უთვალავი წერილების ყოველი სტრიქონი ამაღელვებელია. ყოველ მათგანში ბელადისადმი დიდი სიყვარულის უძრწოი კოცონი ანთია.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მიმდინარე წლის 20 მარტის ნომერში გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა საქართველოს მშრომელთა წერილების ერთი ნაწილი ვ. ი. ლენინისადმი. ქვემოთ ვბეჭდავთ აღნიშნული წერილების კიდევ ერთ ნაწილს.

მუშათა დაბას — ლენინის სახელი

ვ. ი. ლენინის სახელობის მუშათა დაბის საძირკვლის საზეიმოდ ჩაყრის მონაწილეთაგან

რიგა გარეშე

თბილისიდან, 1922 წ. 7 ნოემბერი.

მოსკოვი, ლენინს

საბჭოთა, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, შეიკრიბნენ რა თქვენი სახელობის პირველი მუშათა დაბის საძირკვლის საზეიმო ჩაყრაზე დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეხუთე წლისთავის დღეს, სალამს გიძღვნიან თქვენ, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ბელადს, და სახალხო მეურნეობის მშენებლობის საქმეში სრულ გამარჯვებას უსურვებენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, რომელსაც თქვენ უდგეხართ სათავეში.

ბირჩევთ საპატიო თავმჯდომარედ

ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის მუშაკთა ყრილობისაგან

თბილისიდან, 1923 წ. 14 იანვარი.

მოსკოვი, ამხ. ვ. ი. ლენინს

ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის მუშაკთა ყრილობა თავის ამომრჩეველთა სახელით მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო, და გულწრფელად უხარია, რომ თქვენ დაუბრუნდით საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ხელმძღვანელობას. ერთსულოვნად გირჩევს რა თქვენ თავის საპატიო თავმჯდომარედ, ყრილობას სწამს, რომ თქვენი უნარიანი ხელმძღვანელობით მთელი მსოფლიო ახლო მომავალში მოიშორებს საძულველი კაპიტალის უღელს.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას და მის დიდ ბელადს ამხანაგ ლენინს!

ყრილობის პრეზიდიუმი.

მშრომელთა საკეთილდღეოდ

მოსკოვი, კრემლი, ამხ. ლენინს

თბილისიდან, 1922 წ. 7 აგვისტო.

სახალხო კავშირგაბმულობის მუშაკთა სრულიად საქართველოს მე-2 ყრილობა მგზნებარე პროლეტარულ სალამს გიძღვნით და გისურვებთ მალე გამოჯანსაღებას მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ყრილობის პრეზიდიუმი.

გისურვებთ გამოჯანსაღებას

მოსკოვი, კრემლი, ამხ. ლენინს

სოხუმიდან, 1922 წ. 12 აგვისტო.

ქალაქ სოხუმის მუშათა და წითელარმიელთა გაერთიანებული საერთო საზეიმო კრება მხურვალე სალამს უძღვნის მსოფლიო რევოლუციის ბელადს ამხ. ლენინს, და უსურვებს მას მალე გამოჯანსაღებას.

კრების პრეზიდიუმი.

გაუმარჯოს ლენინს!

მოსკოვი, კრემლი, ამხ. ლენინს

თბილისიდან, 1922 წ. 7 ნოემბერი.

ხსნიან რა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეხუთე წლისთავზე საზეიმო გამოფენას ქალაქ თბილისში, პროფესიული, საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები თქვენი სახით მიესალმებიან მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ბელადს. ცხადვყოფთ რა მნახველთა წინაშე ჩვენი პროფკავშირების მთელ ძლიერებას, იმედი გვაქვს მთელ მსოფლიოს ვუჩვენოთ, თუ რა ძალუძს კაპიტალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებულ მუშათა კლასს საბჭოთა ხელისუფლების დროს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის ბელადს ამხ. ლენინს!

საქართველოს პროფსაბჭო.

ერთიანობის საწინდარი

თბილისიდან, 1922 წ. 23 ნოემბერი.

მოსკოვი, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბჭო მიესალმება სტუდენტთა გადაწყვეტილებას, დამტკიცებულს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ, ინსტიტუტისათვის თქვენი სახელის მიკუთვნების შესახებ და ეს მიაჩნია ინსტიტუტის განვითარების და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კულტურული ერთიანობის საწინდრად მათი სამეცნიერო ცენტრით მოსკოვით.

წითელარმიული სალამით

ქართული მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობისაგან

თბილისიდან, 1922 წ. 15 ივლისი.

მოსკოვი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ლენინს

1922 წლის 15 ივლისს ახალგაზრდა ქართული წითელი მუშურ-გლეხური არმია, რსფსრ მუშურ-გლეხური წითელი არმიის უმცროსი და, წითელი ქართული მსროლელი დივიზიის წლისთავის დღეს ამ უკანასკნელის სახელით მიესალმება რევოლუციის დიდ ბელადს — ამხ. ლენინს.

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ მისი სიამაყე — ახალგაზრდა ქართული წითელი არმია შეძლებს დაიცვას ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერესები.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის ავანგარდს — დიდ წითელ არმიას!

გაუმარჯოს საქართველოს წითელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს დიდ ბელადს, სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლენინს!

ქართული მსროლელი დივიზია.

გულით ნათქვამი

მოსკოვი, ამხ. ლენინს

თბილისიდან, 1922 წ. 23 ოქტომბერი.

ჩვენ, ავჭალის მინის ქარხნის მუშებმა, 20 ოქტომბერს საერთო კრებაზე თქვენი დიდებული სახელი, მიგაკუთვნეთ ჩვენს ქარხანას. საკვანძოდ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი მფარველობით გაცისკროვნდება ჩვენი ქარხნის მთელი შემდგომი ცხოვრება და აყვავება. ჩვენი რევოლუციური გრძნობის საფუძველია ის, რომ თქვენ დიდი პროლეტარული რევოლუციის ბელადი ხართ, და როცა პროლეტარიატი თავის გამარჯვებას იდღესასწაულებს და წითელი დროშა ჰიმალაის მწვერვალებზე აფრიალდება, მაშინ იამაყებს ლენინის სახელობის ჩვენი ქარხნის დროშა.

ავჭალის მინის ქარხნის მუშათა საერთო კრება.

ინდოეთი

ინდოეთის ეროვნული კონგრესის ბიუროს

ინდოეთიდან, 1922 წ. 4 ნოემბერი.

ბელადს ამხ. ლენინს

ინდოეთიდან, 1922 წ. 4 ოქტომბერი.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის ბიუროს ინდოეთიდან, 1922 წ. 4 ოქტომბერი.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს მშრომელნი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აქტიურად, საზოგადოების წინაშე თავიანთი მაღალი მოვალეობის შეგნებით ასრულებენ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ერთმანეთს ეჯიბრებიან შვიდწლიანი გეგმის წარმატებით და ვადამდე შესრულებისათვის. კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში წარმოიშობა ათასობით ახალი გმირი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხოვატარები, ადამიანები, რომლებიც მთელ ძალ-ღონეს, ენერგიას, შემოქმედებითს გენიას ახმარენ პარტიისა და ხალხის საქმეს. ჩვენში იზრდება კარგი, ჯანსაღი ახალგაზრდობა, რომელიც თავდადებული შრომისა და სწავლის ნიმუშებს გვიჩვენებს.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქციელით ზიანს აყენებენ საზოგადოებას, არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. წარსულის ეს მახინჯი გადმონაშთები, რომლებიც უცხოა ჩვენი წყობილებისათვის თავს იჩენენ შრომისადმი, სწავლისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების, ხელიგნობის, ლოთობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების სახით და სხვ.

კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით ყველა საბჭოთა ადამიანის აღზრდის ამოცანა დასახა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. სამართლის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივის გადამწყვეტი როლის საკითხი მთელი სიღრმით და პრინციპული თანმიმდევრობით დააყენა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ XXI ყრილობაზე. ყრილობამ აღნიშნა, რომ საზოგადოებრიობა, სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად, უნდა ასრულებდეს წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ფუნქციებს, ططლობდეს თავიდან აგვაცილოს სქეცილი, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებას. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებმა, აღმზრდელობითმა ღონისძიებებმა სამართლის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში სულ უფრო უნდა შეცვალონ იძულების ღონისძიებანი.

გასული წლის დამლევს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ განიხილა საკითხი სოციალისტური წესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის როლის გადიდების შესახებ და დასახა ღონისძიებანი, რომ აღმოიფხვრას ამოვლენება წარსულის გაფრენთანთებისა, რომლებიც უცხოა სოციალისტური წყობილებისათვის. ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მთელი რიგი მსჯელი საფარმოების ხელმძღვანელთა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მდივანთა, უმაღლესი სასწავლებლების დირექტორთა და პარტორგანიზაციების მდივანთა, საქართველოს აკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა, რესპუბლიკური და საღამოს გაზეთების რედაქტორთა თათბირი იმ საკითხზე, თუ როგორ სრულდება ღონისძიებანი, რომლებიც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ დასახა.

მოხსენებაში, რომელიც გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ამხ. ი. ლარიბაშვილმა და ამხანაგების — საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივნის ს. ჩხარტიშვილის, საქართველოს სსრ პროკურორის მ. თოფურიძის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის თ. ბუაჩიძის, თბილისის კომკავშ-მაუდის კომბინატის დირექტორის ე. თავაძის, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მდივნების შ. დოლიძის, ო. ნემსაძის, კ. გოგლიძის, საქართველოს აკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. შეკარდაძის გამოსვლებში აღნიშნული იყო, რომ სამართლის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა ფართო საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას იპყრობს. საბჭოთა ადამიანებს არ შეუძლიათ დამშვიდებით აუარონ გვერდი მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევებს, ზრუნავენ იმისათვის, რომ წმიდად იცავდნენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და სამუდამოდ მოეღოს ბოლო წარსულის ძძიმე მემკვიდრეობას — დამნაშავეობას. სწორედ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ამ საყოველთაოსახალხო ზრუნვიდან გამომდინარეობს მოთხოვნა — გაძლიერდეს ბრძოლა სამართლის დარღვევათა წინააღმდეგ, რომლებსაც ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით.

აქტიურად მოქმედებენ მთელი რიგი შტაბები და ნებაყოფლობითი რაზმები, ხოლო იქ, სადაც ისინი კარგად მუშაობენ, დაცულია საჭირო წესრიგი. მაგრამ, ამავე დროს, ცალკეული რაზმელები იჩენენ პასიურობას, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებისადმი, ლოთებისადმი, ხულიგნებისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებას. ნებაყოფლობითი რაზმების ორგანიზაციისა და მუშაობაში სუსტად იღებს მონაწილეობას ახალგაზრდობა, რაზმელებს საკმარ დახმარებას არ უწევენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები. ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელები.

თათბირზე აღინიშნა, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები ჯეროვნად არ ზრუნავენ ამხანაგური სასამართლოების მუშაობისათვის და არ ხელმძღვანელობენ მას, როგორც საჭიროა. ცოტა როდია ისეთი საწარმო, რომლებშიც ამხანაგური სასამართლოები ჯერ არ შეუქმნიათ.

სასამართლო ორგანოების აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი როლი განუზომლად გაიზარდა. მაგრამ სასამართლოებს მხოლოდ იმ პირობით შეუძლიათ წარმატებით შეასრულონ თავიანთი ამოცანა, თუ მათ მუდმივი კავშირი ექნებათ საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებთან. სასამართლო ორგანოების ეს კონტაქტი საზოგადოებრიობასთან დადებითს შედეგებს იძლევა. საჭიროა მხოლოდ, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერონ განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობა, ამაღლონ თავიანთი როლი საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თათბირმა დიდი ყურადღება დაუთმო მოზარდ თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს. აღინიშნა, რომ სოციალისტური წესრიგის ცალკეული დარღვევები, ახალგაზრდობის მიერ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, სწავლისათვის თავის არიდების შემთხვევები იმის შედეგია, რომ საკმაო აღმზრდელობითი მუშაობა არ წარმოებს ოჯახში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, საწარმოსა და დაწესებულებაში. პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, მშობლები, ყოველი მოზრდილი ადამიანი ახალგაზრდებს უნდა უნერგავდნენ საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელ გრძნობებს, შრომის სიყვარულს, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ მიერ გონივრულ და საინტერესო დასვენების მოწყობას.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების როლი სოციალისტური წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ, ყოველგვარი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დუმბაძემ.

— ახლა, — თქვა მან, — როცა ჩვენი ქვეყანა მიდის კომუნიზმისკენ, ახალი ადამიანის აღზრდაში, საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის საბჭოთა საზოგადოებრიობას. საზოგადოებრიობის ჩაბმა ამ საქმეში დადებითს შედეგს იძლევა. მაგრამ ყველგან სწორად როდი ესმით და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით როდი ასრულებენ პარტიის მითითებებს წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმის შესახებ. მშრომელთა კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მთლიანად ვერ იყენებენ თავიანთი გავლენის ძალას, ავიწყდებათ რომ მეტწილად დანაშაული იწყება სხვადასხვა გადაცდომით, — ლოთობით, სამუშაოს გაცდენით, ამხანაგისადმი, ქალისადმი უპატივცემლობით. საჭიროა დროზე შევაჩეროთ ადამიანი, რომელიც მცდარ გზას დაადგა, საჭიროა ამხანაგებმა გაუწიონ მას მეგობრული და მომთხოვნელი კონტროლი, გამოსცადონ იგი კოლექტივის ნდობით.

ილაპარაკა რა ამხანაგური სასამართლოების საქმიანობაზე, იმ პრაქტიკაზე, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მშრომელთა კოლექტივების შუამგზავრობით გადასცემენ მათ მსჯავრდადებულებს ახლებურად აღზრდისა და გამოსწორებისათვის, ამხ. დუმბაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მართლწესრიგის ბოროტი დამრღვევნი და ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულობანი, განსაკუთრებით დამნაშავე რეციდივისტები, რომელთა აღზრდა შეუძლებელია, მკაცრად უნდა დაისაჯონ თავიანთი მოქმედებისათვის, ხოლო იმის, ვინც არ გაამართალა კოლექტივის ნდობა და კვლავ დაადგა დანაშაულებრივ გზას, არ უნდა ჰქონდეს ლმობიერი დამოკიდებულების იმედი.

ამხ. დუმბაძე შეეხო პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, ოჯახის, სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის როლს კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდაში, აღნიშნა, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობის, ჩვენი საზოგადოების თვითეული წევრის შრომითი და მორალური აღზრდის პროცესებს. მან ილაპარაკა ადამიანისადმი ყურადღების გაძლიერებაზე, მისი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებისათვის კიდევ უფრო მეტ ზრუნვაზე. საჭიროა, რომ პრესა მებრძოლურად გამოდიოდეს სოციალისტური წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, ამათრახებდეს ლოთობას, ენაბილწობას, აღვირახსნილობას, უფრო გაბედულად ამხილებდეს იმათ, ვისაც საზოგადოებისათვის სარგებლობა არ მოაქვს, პარაზიტულად ცხოვრობს, სისტემატიურად აშუქებდეს ახალი ადამიანის აღზრდისათვის წარმოებულ მუშაობას.

— ჩვენ, —თქვა დასასრულ ამხ. დუმბაძემ, — ყველა შესაძლებლობა გვაქვს და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა აღმოიფხვრათ ჩვენი წყობილებისათვის, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მოვლენები, მოვსპოთ სოციალისტური წესრიგის ყოველგვარი დარღვევა. (საქდესი).

ნამუშევრებზე საკენ

ოთხი მამაცი საბჭოთა ადამიანი, წუნარ ოკეანეში უმაგალითო დრეიფის ოთხი გმირი ამერიკაში ყოფნის დროს.
სურათზე: ა. ზიგანშინი, ფ. პოპლავსკი, ა. კრიუჩკოვსკი და ი. ფედოტოვი ისევ ნებენ პარკზე.

პარიზი, 28 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბარანოვი იუწყება: დღეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან საფრანგეთის ნავსადგურ შერბურში ტრანსატლანტიკის ლაინერ „კუინ მერით“ ჩამოვიდა ოთხი მამაცი საბჭოთა ჯარისკაცი ა. ზიგანშინი, ა. კრიუჩკოვსკი, ი. ფედოტოვი და ფ. პოპლავსკი. ჩვენ ბედნიერი ვართ, განუცხადეს მათ საკდესის კორესპონდენტს, რომ შემოვდგით ფეხი საფრანგეთის მიწაზე იმ მომენტში, როცა ძვირფასი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი საფრანგეთში იმყოფება მშვიდობისა და მეგობრობის მისიით. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდ წარმატებას მის მოღვაწეობაში ჩვენი სამშობლოს და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

ავდრის მიუხედავად, ნავსადგურში გემის მისვლამდე კარგა ხნით ადრე დიდი გამოცოცხლება სუფევდა. აქ შეიკრიბნენ ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ბევრი ფრანგი და უცხოელი ჟურნალისტი, ტელევიზიისა და კინოქრონიკის რეპორტიორები, რომელნიც სპეციალურად ჩავიდნენ შერბურს მამაცი ოთხეულის შესახვედრად.

ჯერ კიდევ წინა დღით შერბურის ქუჩებში, სასტუმროში, კაფეში, ნავსადგურში ყველგან ისმოდა საუბარი ადამიანთა შორის, რომელნიც აღტაცებული არიან ოთხი საბჭოთა ჭაბუკის უმაგალითო გმირობის გამო. ადგილობრივი გაზეთი „პრეს დე ლა მანში“, მიესალმა რა გმირებს წერდა, რომ მათ გვიჩვენეს ამტანობის ყველაზე შესანიშნავი მაგალითი, რომელიც კი ოდესმე აღნიშნულა იმ ადამიანთა შორის, რომლებმაც უბედურება განიცადეს ზღვაში“.

იშვიათი ცუდი ამინდის — სუსხიანი ქარიწა და კოკისპირული წვიმის გამო „კუინ მერი“ ვერ მიადგა საზღვაო ვაგზალს და იძულებული გახდა რეიდზე გაჩერებულიყო. მაგრამ ჟურნალისტები ხომალდამდე მივიდნენ სპეციალური კატარღით და გაეშურნენ სალონში, სადაც იყვნენ ა. ზიგანშინი, ა. კრიუჩკოვსკი, ი. ფედოტოვი და ფ. პოპლავსკი.

აქვე, ხომალდზე, გაიმართა იმპროვიზებული პრეს-კონფერენცია. „რა არის თქვენი ყველაზე ძლიერი სურვილი?“ — ეკითხება საბჭოთა ჭაბუკებს საფრანგეთის უდიდესი ბურჟუაზიული გაზეთის „ფრანს სუარის“ რეპორტიორი. „ჩვენი ყველაზე დიდი სურვილია, — უპასუხებენ ისინი, — რაც შეიძლება მალე დავბრუნდეთ სამშობლოში“.

13 საათსა და 20 წუთზე ადგილობრივი დროით წყნარი ოკეანის სტიქიონთან ბრძოლაში გამარჯვებულნი მატარებლით გამოემგზავრნენ შერბურიდან პარიზს. მატარებლის გამოსვლამდე არ შეწყვეტილა ბაკანზე შეკრებილ ადამიანთა მისალმებისა და აღტაცების შეძახილები.

ოთხივე ჭაბუკი კარგად არის. მათ თითქმის აღიდგინეს თავიანთი ნორმალური ფონა. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ი. ფედოტოვი თავისი ამხანაგების სახელით თხოულობს გადასცენ მშობელ-ნათესავებსა და ყველა საბჭოთა ადამიანს, რომ ისინი ჩინებულად გრძნობენ თავს და მოუთმენლად ელიან იმ მომენტს, როცა შედგამენ ფეხს საბჭოთა მიწაზე.

ადამიანებს, რომელნიც ამ ჭაბუკებს ხვდებიან, აკვირვებს მათი განსაკუთრებული მოკრძალება, რომელიც თითქმის მორცხვობას უდრის, მათი უდიდესი ყურადღება და ზრუნვა ერთიმეორისათვის. მატარებელში ოთხ გმირს ბევრი მეგობარი გამოეჩინდა. ჭაბუკებთან მივიდა პარიზს მომავალი ამერიკელი. მეგობრულად დაადო მათ ხელი მხარზე და უთხრა, თქვენ ამერიკაში გნახეთ ტელევიზიის გადაცემაშიო:“ ეს წარმოუდგენელია! ეს წარმტაცია!“ წარამარა ამბობს იგი.

თვითონ გმირები სიტყვაძვირი არიან, თავიანთ თავზე ნაკლებად ლაპარაკობენ „ის, რაც ჩვენ ჩავიდინეთ, — ამბობს ი. ფედოტოვი, — სულაც არ არის საკვირველი. ჩვენს ადგილას ზუსტად ასევე მოიქცეოდა ყოველი საბჭოთა ადამიანი. ამ განსაცდელის დროს ჩემთვის დიდი მაგალითი იყო საბჭოთა ტანკერ „ტუაფსის“ მეზღვაურთა მოქმედება, რომელიც ვერაგულად იგდეს ხელთ ჩაჰკაიშელებმა. მე ვნახე ფილმი ამ მეზღვაურთა შესახებ და ეს ფილმი ერთ-ერთი ადგილია ჩემ ცხოვრებაში“.

ოთხივე ჭაბუკი ერთმანეთს ეხმიანებოდა ერთი ხანობა სცადეს რადიოთი მოლაპარაკებოდნენ მეზობელ კარვებს, ერთად ვიყოთ და ერთმანეთს მხარი დავუჭიროთო, მაგრამ კავშირი მალე გაწყდა.

ნაპირზე რადიოგრამაც გაგზავნეს:

„ძრაველი კარგად მეშობენ, ვებრძვით დინებასა და ქარიშხალს. ეკიპაჟი კარგ გუნებაზეა.

კარვების ზემდეგი ზიგანშინი“.

ტალღები სალ კბოდეებისაკენ მიაქანებდნენ კარვებს და საცა იყო ნაკუწ-ნაკუწად მიიმსხვრევდნენ. სიკვდილი სულ უფრო ახლოდებოდა. ქარიშხლისა და ოკეანის გუგუნში ჯარისკაცებს მეთაურის დამამშვიდებელი ხმა მოესმათ — ერთად, მიეკვეთ, ერთად.

რადიოგრამა კვლავ გაგზავნეს:

„ტ-36“-ს ტალღები ქვიშიან მეჩეჩზე მიაქანებენ“.

პასუხი არ იყო. ნაპირი დუმდა. კავშირი დარღვეულიყო. კერსი ჩრდილოეთისაკენ, ქვიშიან მეჩეჩებისაკენ აიღეს. უზარმაზარი ტალღები ნაფოტივით დაამქანებდნენ კარვებს. უკვე გემბანსაც ეხეთქებოდნენ და წინ არაფერი ჩანდა, ბოძიკარ ტალღებს გარდა.

ანაზდეულად რამდენიმე მეტრზე რაღაცა ჩაშავებულს მოაკრეს თვალი.

— კლდე! — შეშინებული ხმით დაიყვირა ვიღაცამ.

იღუპებოდნენ და ეგ იყო. ტალღა კლდისაკენ მიაქანებდა კარვებს. სერჟანტმა რაღაცა არაადამიანური ძალით შეძლო საბის მობრუნება და კარვებმა სულ რამდენიმე მეტრზე ჩაუარა კლდეს.

ასხატ ზიგანშინი არ დაბნეულა ამ მძიმე გასაჭირის ჟამს. ხმამაღლა, მაგრამ აუღელვებლად იძლეოდა ბრძანებებს. ჯარისკაცები ზუსტად ასრულებდნენ ყველა განკარგულებას. ისინი ეჯაჯაცურად მოქმედებდნენ, მხარში ედგნენ ერთმანეთს ქარიშხალთან ჭიდილში. გამოცდილი და გამობრძმედილი მეზღვაურებივით იქცეოდნენ, თუმცა ახალბედანი კი იყვნენ საზღვაო საქმეში. ყველაზე უფროსი 22 წელზე ცოტა მეტი ხნისა იყო. უმცროსი სერჟანტი ზიგანშინი და მოტორისტი პოპლავსკი სულ ერთი წლის გაცნობილნი იყვნენ ზღვას, ხოლო მექანიკოსი კრიუჩკოვსკი და ჯარისკაცი ფედოტოვი ექვსი თვე იყო, რაც ზღვას დაუახლოვდნენ. კაცმა რომ თქვას, პირველი ნამდვილი საზღვაო ნათლობა აქამდე არც ჰქონდათ მიღებული.

ამთაგორებული ტალღები ერთი ერთმანეთზე აწყდებოდნენ კარვებს, თითქოს უნდა წალეკონო, და ღრიალით იჭრებოდნენ შიგ. ქარბუქი შოლტივითა სცემდათ სახეში. ცივი ქარი ძვალ-რბილში ატანდა ტანსაცმელი ზედ შემოეყინათ. კარვებს მართვა სულ უფრო ძნელდებოდა.

— ფიქრი არ არი, ამხანაგებო, გამგრდით, დავძლევთ ზღვას, — ამხნევებდა მეგობრებს ზიგანშინი.

(გაგრძელება იქნება)

უფიშართა ოთხეული მოსკოვში

რუსულად სულითა და გულით შეხვდნენ მოსკოველები მამაც მეომრებს ასხატ ზიგანშინს, ფილიპე პოპლავსკის, ანატოლი კრიუჩკოვსკის, ივანე ფედოტოვს, რომელნიც 29 მარტს „ტუ-104“ თვითმფრინავით პარიზიდან ჩამოვიდნენ. ეს ჭაბუკები 49 დღეს მამაცურად ებრძოდნენ ამობოკრეტელ სტიქიონს წყნარ ოკეანეში. დიდი ხალხის ღირსეულმა შვილებმა არაჩვეულებრივი მხნეობა, სიმტკიცე, გაძლეობა გამოიჩინეს და გაიმარჯვეს სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში.

ვნუკოვოს აეროდრომზე ბევრი იყო ხალხი. აქ მოვიდნენ ქალიშვილები და ჭაბუკები — მამაც მეომართა ტოლები, პარტიული, საზოგადოებრივი და ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, მუშები და მოსამსახურეები.

შემხვედრთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ლუელინ ე. ტომპსონი და ამერიკის საელჩოს თანამშრომლები.

აეროდრომზე საბჭოთა ხალხის სახელოვანი შვილების დაბრუნების აღსანიშნავად მიტინგი გაიმართა.

ასხატ ზიგანშინს, ფილიპე პოპლავსკის, ანატოლი კრიუჩკოვსკის, ივანე ფედოტოვს გულთბილად მიესალმა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი.

ჩვენ, მოსკოველები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თქვა ამხ. ბობროვნიკოვმა, — ვამაყობთ და აღტაცებული ვართ თქვენი სიმამაცითა და უმაგალითო გამბედაობით, რაც სტიქიონის ძალებთან ბრძოლაში გამოიჩინეთ. მთელი ჩვენი ხალხის აღტაცების გრძნობები მეცფიოდ არის გამოხატული მისასალმებელ დეპეშაში, რომელიც თქვენ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა გამოგიგზავნათ.

ახალგაზრდა მეომრებს გულითადად მიესალმა საბჭოთა არმიისა და საბჭოთა-რო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის თანამოადგილე კომკავშირის დარგში საბჭოთა კავშირის გმირმა პოდპოლკოვნიკმა ა. ვ. მაკარიჩინმა.

სიტყვა ეძლევა სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანს ა. ა. სოსნინს.

— დღეს, — ამბობს იგი, — მოსკოვის ახალგაზრდობა სულითა და გულით გეუბნებით თქვენ „გამარჯობა, გმირებო! მოგილოცავთ შშობლიურ საბჭოთა მიწაზე დაბრუნებას!“ თქვენმა გმირობამ გამოხატაურება პოვა მთელი მსოფლიოს ადამიანების გულში.

დედაქალაქის ქალიშვილები და ჭაბუკები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, ამაყობენ იმით, რომ თქვენ კომკავშირის სახელოვან საქმეთა მატიანეში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეთ.

მხურვალე ტაში გაისმის, როცა მიკროფონთან მიდის უმცროსი სერჟანტი ასხატ ზიგანშინი. მისი სიტყვა მხურვალე და გულშიჩამწვდომია.

— მეძნელება ლაპარაკი, იწყებს იგი თავის სიტყვას, — როცა სული და გული აღსავსეა მდელვარე გრძნობებით და უდიდესი სიხარულით ჩვენს „საბჭოთა სამშობლოში დაბრუნების გამო.

უწინარეს ყოვლისა ჭიდილი დაიწყო.

ერთი ხანობა სცადეს რადიოთი მოლაპარაკებოდნენ მეზობელ კარვებს, ერთად ვიყოთ და ერთმანეთს მხარი დავუჭიროთო, მაგრამ კავშირი მალე გაწყდა.

ნაპირზე რადიოგრამაც გაგზავნეს:

„ძრაველი კარგად მეშობენ, ვებრძვით დინებასა და ქარიშხალს. ეკიპაჟი კარგ გუნებაზეა.

კარვების ზემდეგი ზიგანშინი“.

ტალღები სალ კბოდეებისაკენ მიაქანებდნენ კარვებს და საცა იყო ნაკუწ-ნაკუწად მიიმსხვრევდნენ. სიკვდილი სულ უფრო ახლოდებოდა. ქარიშხლისა და ოკეანის გუგუნში ჯარისკაცის მეთაურის დამამშვიდებელი ხმა მოესმათ — ერთად, მიეკვეთ, ერთად.

რადიოგრამა კვლავ გაგზავნეს:

„ტ-36“-ს ტალღები ქვიშიან მეჩეჩზე მიაქანებენ“.

პასუხი არ იყო. ნაპირი დუმდა. კავშირი დარღვეულიყო. კერსი ჩრდილოეთისაკენ, ქვიშიან მეჩეჩებისაკენ აიღეს. უზარმაზარი ტალღები ნაფოტივით დაამქანებდნენ კარვებს. უკვე გემბანსაც ეხეთქებოდნენ და წინ არაფერი ჩანდა, ბოძიკარ ტალღებს გარდა.

ანაზდეულად რამდენიმე მეტრზე რაღაცა ჩაშავებულს მოაკრეს თვალი.

— კლდე! — შეშინებული ხმით დაიყვირა ვიღაცამ.

იღუპებოდნენ და ეგ იყო. ტალღა კლდისაკენ მიაქანებდა კარვებს. სერჟანტმა რაღაცა არაადამიანური ძალით შეძლო საბის მობრუნება და კარვებმა სულ რამდენიმე მეტრზე ჩაუარა კლდეს.

ასხატ ზიგანშინი არ დაბნეულა ამ მძიმე გასაჭირის ჟამს. ხმამაღლა, მაგრამ აუღელვებლად იძლეოდა ბრძანებებს. ჯარისკაცები ზუსტად ასრულებდნენ ყველა განკარგულებას. ისინი ეჯაჯაცურად მოქმედებდნენ, მხარში ედგნენ ერთმანეთს ქარიშხალთან ჭიდილში. გამოცდილი და გამობრძმედილი მეზღვაურებივით იქცეოდნენ, თუმცა ახალბედანი კი იყვნენ საზღვაო საქმეში. ყველაზე უფროსი 22 წელზე ცოტა მეტი ხნისა იყო. უმცროსი სერჟანტი ზიგანშინი და მოტორისტი პოპლავსკი სულ ერთი წლის გაცნობილნი იყვნენ ზღვას, ხოლო მექანიკოსი კრიუჩკოვსკი და ჯარისკაცი ფედოტოვი ექვსი თვე იყო, რაც ზღვას დაუახლოვდნენ. კაცმა რომ თქვას, პირველი ნამდვილი საზღვაო ნათლობა აქამდე არც ჰქონდათ მიღებული.

ამთაგორებული ტალღები ერთი ერთმანეთზე აწყდებოდნენ კარვებს, თითქოს უნდა წალეკონო, და ღრიალით იჭრებოდნენ შიგ. ქარბუქი შოლტივითა სცემდათ სახეში. ცივი ქარი ძვალ-რბილში ატანდა ტანსაცმელი ზედ შემოეყინათ. კარვებს მართვა სულ უფრო ძნელდებოდა.

— ფიქრი არ არი, ამხანაგებო, გამგრდით, დავძლევთ ზღვას, — ამხნევებდა მეგობრებს ზიგანშინი.

(გაგრძელება იქნება)

ოკეანეზე ძლიერნი

ამ დღეებში მთელ მსოფლიოს მოეფინა ოთხი საბჭოთა მებრძოლის გმირობისა და მამაცობის ამბავი. ისინი 49 დღეს ებრძოდნენ ამობოკრებულ ოკეანეს და ვაჟკაცურად ძლიეს მძვინვარე სტიქიას.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშაში, რომელიც მან ამ ოთხ გმირ საბჭოთა ახალგაზრდას გაუგზავნა, ნათქვამია: „თქვენი გმირობით, უმაგალითო გულადობით თქვენ გაამრავლეთ ჩვენი სამშობლოს დიდება, რომელმაც აღზარდა ესოდენ მამაცი ადამიანები, და საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი გულადი და ერთგული შვილებით“.

ამ დღეებში გაზეთმა „იზვესტიამ“ დაიწყო ა. ზიგანშინის, თ. პოპლავსკის, ა. კრიუჩკოვსკისა და ი. ფედოტოვის მონაყოლის მიხედვით დაწერილი დოკუმენტური მოთხრობის ბეჭდვა.

მოთხრობა დაწერეს ვ. გოლცევმა, ნ. კარაევმა, ო. სტრიგანოვმა და კ. ტარადანკინმა.

პირველი შერკინება

უბედურებას თითქოს არაფერი იუწყებოდა. კერილის ერთ-ერთ კუნძულზე განლაგებულ პატარა სამხედრო გარნიზონში ჩვეულებრივი დილა თენდებოდა. სისხამზე ბუსა ჰკრეს, და წამოიშალნენ ჯარისკაცები. ნელა, მწკრივ-მწკრივად დაეშვნენ თერცხანში მდგომი კატარღებისა და თვითმავალი კარავებისაკენ, პატარა სამხედრო ხომალდებისაკენ, რომლებიც სპატრულო სამსახურს ეწეოდნენ ჩვენი დიდა-სამშობლოს აღმოსავლეთ საზღვრების ახლო-მახლო.

სახეს ცეცხლივით ედებოდა სუსხიანი ქარი. ალდოვან ნაპირს ზრიალით ენარცხებოდა ტალღა, და თითქო მომწვანო მინა დაამსხვრიესო, ისე იფრქვეოდა მაღლა მერე უკიოქცეოდა წამიერ, რომ კვლავ დასძგერებოდა კლდოვან წყლისპირს. არც თოვლიან ამინდს და არც ოკეანისა თუ ქარაშოტის ღმეილს არაკინ არ დაუფიქრებია. ამ არე-მარეში ჩვეულებრივ ამინდად თვლიან ამას.

ამ ცოტა ხნის წინათ, პირველად ჩამოვიდნენ თუ არა ნაწილში, ქვეგანაყოფის მეთაურმა დაიწყო ახალწვეულები და ჰკითხა:

— იცით, სად უნდა იმსახუროთ?

მწყობრი წამიერ დაიბნა, მერე კი ვიღაცამ წკრიალა ხმით შესძახა:

— საბჭოთა მიწა-წყლის განაპირა წერტილში, ამხანაგო კაპიტანო.

— ჰო, თავმჯმის. თქვენ საიდან იცით?

— ჩვენ რა, ლამის აქაურები ვართ, ზღვისპირეთი არც ისე შორს არის აქედან. გაგიგიათ სოფელი ბოლშოი კამენი?

— მაინცდამაინც რითია ცნობილი თქვენი ბოლშოი კამენი?

— ოსტატი ხალხი ცხოვრობს, სათევზაო ხომალდების შეკეთება, რა, საქმე არ არის, თუ?

— ზღვაში ყოფილხართ?

— ყოფილვართ, განა ერთხელ.

— ისე გამოდის, აქაური „ასავალ-დასავალიც“ გცოდნიათ?

— ყველაფერი არ ვიცით, მაგრამ ვიმსახურებთ და ვისწავლით.

მწყობრმა მხარი დაუჭირა და ამბუტუნდა. ოფიცერმა ჰკითხა:

— თქვენი სახელი, ჯარისკაცო?

— ჯარისკაცი ივანე ფედოტოვი, ამხანაგო კაპიტანო!

— ამა ჰა, შენ იცი, აღმოსავლელო დაეხმარე ბიჭებს „ასავალ-დასავალი“ გუგეონ აქაურობას, — ვაიღვმა მეთაურმა. — მერე მწყობრს მიუბრუნდა და მბრძანებლური კილოთი თქვა:

— ჩვენი საქმე არც ისე იოლია. აქაური სასახური არ გეგონოთ გაზაფხული. მეტწილად უამინდობაა. კარგად დარსოთ და წესადა გქონდეთ. ქარს ხელი კი არ მიუშვიროთ. მკერდი მიაჯინეთ და წინ ისე იარეთ. თუ ასე მოიქცევთ, არც გზას ასცდებით და დაკისრებულ დავალებასაც შეასრულებთ...

ახალწვეულებმა მალე მოიკიდეს ფეხი. მაგრამ ჯარისკაცებს წუთითაც არ ეკიეწყებიათ მეთაურის მიერ ინდახასაგით ნათქვამი: „აქაური სასახური არ გეგონოთ გაზაფხული“. ისინი ხშირად იეორებდნენ ამ ნათქვამს, განსაკუთრებით, თუ ოკეანე მძვინვარებდა.

...უკანასკნელ ორ დღეს თვითმავალი კარავი „ტ-36“ ტიკებს აკეთებდა.

მეტეოროლოგიურ პუნქტში პატარა დაფა ეკიდა. დაფა წითელი იყო, ზედ კი დიდი შავი ასოებით ეწერა: „ამინდი“. მერე რაღაცა იყო აღნიშნული, მეტეოროლოგის მიერ ცარცით მიწერილი — რა ალა ექნებოდა ქარს, რამდენ ბალზე იღელვებდა ზღვა; ბოლოს კი, კაცს რომ თვალში მოხვედროდა, ცოტა უფრო მსხვილად ეწერა: „ზღვაში გახვლა აკრძალულია“.

მეგობრობა ამსხვრევს ცივი ომის ჯეგირებს

ამ დღეებში განსაკუთრებულ სიხარულს გაიცდის ფრანგი ხალხი ვისი საპატიო სტუმარიც არის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. პარიზის კვირის გაზეთები სავსეა ვრცელი მასალებით, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოგზაურობას საფრანგეთში. გაზეთი „ლუმანიტე-დიმანში“ ამ მასალებს ეთმობს რვა გვერდს, გაზეთი „ეტრიალ დიე დიმანში“ კი — ხუთ გვერდს.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიზიტს საფრანგეთში ძმაყოფილებით შეხვდა საბერძნეთის საზოგადოებრიობა. ყველა ადამიანი, რომელთაც სწამს დაძაბულობის შენელება და იბრძვის ამისათვის, ხაზგასმით აღნიშნავს ჟურნალი „ერეენა“, დიდ იმედს ამყარებს ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს საფრანგეთში. ჟურნალს ნ. ს. ხრუშჩოვის მოლაპარაკება განიარაღების უმნიშვნელოვანეს პრობლემებსა და ბერლინის საკითხზე მიაჩნია დიდმნიშვნელოვან ეტაპად უმაღლეს დონეზე თათბირის მომზადებაში, როგორც პროლოგი, რომელზეც ბევრად დამოკიდებულია თვით თათბირის წარმატება.

ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს საფრანგეთში დიდ ყურადღებას უთმობს იტალიის პრესა. გაზეთი „პაეზე“ წერს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში გულთბილი მიღება გამოიხატებოდა „პირდაპირ ფანტასტური ენთუზიაზმით“.

ცნობები საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიზიტის შესახებ იკუტრალის ყველა გაზეთის, რადიოს, ტელევიზიის ყურადღების ცენტრშია. მთელი რიგი გაზეთები ბეჭდავენ თავისი საკუთარი კორესპონდენტების დაწვრილებით რეპორტაჟს პარიზიდან.

ყოველდღე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებნი ტელეგრამით ხელავენ გადმოცემას საფრანგეთიდან, რომელიც მოგვითხრობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნას საფრანგეთში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოსადგურები ამ დღეებში, როგორც წესი, უკანასკნელი ცნობების გამოშვებას იწყებენ ცნობების გადმოცემით საფრანგეთში ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ქალაქებში, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვი იყო, ქუჩებში გამოვიდა ათიათასობით ფრანგი. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას საფრანგეთში ახასიათებს როგორც კოლოსალურ წარმატებას. ხალხი, წერს გაზეთი, ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმება გულთბილობით და სიმპათიით, როგორიც იშვიათია. „ნოიე �აბი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა სამი დღის განმავლობაში მოიკო პარიზის მოსახლეობის გული.

მხურვალედ მიესალმება რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მშვიდობისა და მეგობრობის მესიის საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირული გაზეთი „პრაცე“ წერს: გასული წელი დამთავრდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ნიშნით, რაც იყო ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შედეგი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახალმა მიმართულებამ საერთაშორისო ვითარებაში მიიღო სახელწოდება „კემპ დეივიდის სულისკვეთება“ — მეგობრული მოლაპარაკების სულისკვეთება. ამიტომაც ნ. ს. ხრუშჩოვის გაზაფხულის ვიზიტმა საფრანგეთში იმ თვითვე შექმნა განსაკუთრებით ხელსაყრელი ატმოსფერო, რომელსაც შეძლება ვუწოდოთ „პარიზის სულისკვეთება“.

• • •

ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი საფრანგეთში პარიზის გაზეთების ძირითადი თემაა. ყველა გაზეთი მთელ გვერდს უძღვნის ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას, ცნობებს იმ ადგილებიდან, რომლებსაც სპატიო სტუმარი ეწვია, ათავსებს ფოტოსურათებთან ერთად რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა მხურვალედ ხვდებიან ნ. ს. ხრუშჩოვს საფრანგეთის მოსახლეობის უფართოესი ფენები.

ყველა გაზეთი ერთსულოვნად უსვამს ხაზს იმ თვალს, რომ მიღებამ, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვს გაუმართა საფრანგეთის მოსახლეობამ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

გაზეთი „პარი-ჟურნ“ ძმაყოფილებას გამოთქვამს იმ სასურველი პირობების გამო, რომელშიც ამჟამად მიმდინარეობს ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი. გაზეთი გამოთქვამს სურვილს, რომ „დე გოლისა და ხრუშჩოვის მოლაპარაკება მიმდინარეობდეს ნდობაზე დამყარებული ძალიან ფართო მომავლის პერსპექტივაში“.

ბერლინის დემოკრატიული გაზეთები თავიანთ ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა მიმდინარეობს მეგობრობის ატმოსფეროში და ათასობით ადამიანი, მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, გამოდის ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებლად. მოჰყავს რა შინაარსი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლისა ქალაქ ნიმის პრეფექტურაში, გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ გამოაყოფს მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ გამოდის ევროპის შეაგუსი ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი საუკუნე იალაღეგზე

ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს მეცხვარეობა წარმოადგენს. ამ დარგის განვითარებისათვის ენერგიულად იბრძვიან აბრამ ჯუბარაშვილი, რომელიც უკვე 68 წლისაა და აქედან 50 წელი ცხვარში გაუტარებია, და ახალგაზრდა მწყემსები გიორგი კედელაშვილი და ვანო ნადიბაიძე. ვანომ შარშან ნამატი უკლებლივ გაზარდა, მალე კოლმეურნეობაში მასობრივად გაჩაღდება დოლი. მეცხვარეთა პირობაა ნამატი მთლიანად შეინარჩუნონ და თითო ცხვარზე 3 კილოგრამი მატყლი მიიღონ.

სურათზე: რუსთავის კოლმეურნეობის ცხვარი. წინა პლანზე მწყემსი ივანე ნადიბაიძე.

ტექსტი და ფოტო გ. გოგოხიასი.

მ. ტალის მესამე გამარჯვება

ანგარიშია 5:2

მოსკოვი, 29 მარტი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). მეშვიდე პარტია, სადაც მ. ტალი თეთრებით თამაშობდა, დაიწყო საზეიმო სიჩუმეში, მაყურებელთა მთელი ყურადღების მობილიზაციით, დაძაბულობით. ბუნებრივია თვითეულ მათგანს აინტერესებდა თუ რა მოხდებოდა დღეს ცენტაზე, საჭადრაკო დაფაზე.

რიგელმა გროსმაისტერმა მეოთხეჯერ დაიწყო პარტია მეფის პაიკით. მსოფლიო ჩემპიონმა აირჩია კარო-კანის დაცვა. აქ შავების მეექვსე სვლამდე განმეორდა მატჩის მეხუთე პარტია. შემდეგ მ. ბოტვინიკმა ცენტრში წამოიწყო გაცხოველებული ბრძოლა, რის შედეგადაც მოახერხა ლაზიერების გაცვლა. თითქოს ყველაფერი მიმდინარეობდა მ. ბოტვინიკის მიერ დამუშავებული ტაქტიკური სქემის მიხედვით. ბრძოლა გადავიდა დაბოლოებაში, სადაც მ. ტალს საშუალება არ ჰქონდა ფართოდ გაეშალა თავის ფანტაზია.

მაგრამ 25-ე სვლაზე მ. ბოტვინიკმა დაუშვა შეცდომა. როგორც სჩანს მსოფლიო ჩემპიონი შინაგან მღელვარებას განიცდიდა და დროის გარკვეულ მონაკვეთში თითქოს მას მოსაზრების უნარი წაერთვა. არც თუ ისე რთული კომბინაციით მ. ტალმა შეძლო მატერიალური უპირატესობის მოპოვება — ეტლში ორი მხედრის მოგება.

მსოფლიო ჩემპიონის მდგომარეობა არასახარბიელო აღმოჩნდა. თუმცა იგი მეტოქეს 52-ე სვლამდე უწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ ვერ შეძლო პარტიის საბედისწერო შედეგისაგან თავის დაღწევა. მ. ტალმა მოიპოვა მესამე გამარჯვება.

ამრიგად, მატჩის 7 პარტიის შემდეგ ანგარიშია 5:2 მ. ტალის სასარგებლოდ.

მერვე პარტია გაიმართება 31 მარტს. თეთრებით ითამაშებს მ. ბოტვინიკი.

ვ. რაგოზინი,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

მეშვიდე პარტია
კარო-კანის დაცვა

მ. ტალი (თეთრები) — **მ. ბოტვინიკი** (შავები)

1. e4 c6 2. d4 d5 3. ∂c3 d:e 4. ∂:e4 ∂f5 5. ∂g3 ∂g6 6. ∂1e2 ∂d7 7. h4 h6 8. ∂h4 ∂h7 9. ∂c4 e6 10. ლe2 ლe7 11. d:e ლ:e5 12. ∂e3 ∂c5 13. ∂:c5 ლ:e2 + 14. მφ:e2 ∂:c5 15. ∂he1 ∂f6 16. b4 ∂ed7 17. მφf1 + მφf8 18. ∂b3 g5 19. h:g h:g 20. ∂h3 ∂g8 21. ∂ed1 a5 22. b:a ∂:a5 23. ∂d6 მφe7 24. ∂ad1 ∂e5 25. ∂h5 ∂g6 26. ∂:d7 + ∂:d7 27. ∂:d7 + მφ:d7 28. ∂f6 + მφd6 29. ∂:g8 ∂c5 30. ∂h6 ∂f6 31. ∂g4 ∂:c2 32. ∂:f6 ∂:b3 33. ab ∂b5 34. ∂:g5 ∂:b3 35. f4 ∂b1 + 36. მφe2 ∂b2 + 37. მφf3 ∂b3 + 38. მφg4 ∂b2 39. g3 b5 40. ∂fe4 + მφd5 41. f5 b4 42. f6 ∂a2 43. f7 ∂a8 44. ∂h7 b3 45. ∂:c2 b2 46. მφf3 მφd4 47. მφe2 c5 48. f8ლ ∂:f8 49. ∂:f8 c4 50. ∂e6 + მφd5 51. ∂f4 + მφd4 52. ∂b1. **შავები დანებდნენ.**

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ჟუთაისი, 29 მარტი. (სპეც. კორ.). დღეს მორიგ მეათე ტურში ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა დაამარცხა ნ. მანველოვა. მ. ლალიაშვილმა მოუგო ი. გელენიძეს, მ. ჩომახიძემ — ქ. გოგიჩაიშს, მ. ტოგონიძემ — ო. ზათირაშვილს, ლ. ნაჟუკბაიმ — ნ. ჯანაშიას, ს. ივანოვა-ნ. ჯანგელაძის პარტია ყაიმით დამთავრდა, დანარჩენი პარტიები გადადიდო.

10 ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 9,5 ქულა აქვს.

გათუმის ტურნირი

ბათუმი, 29 მარტი. (სპეც. კორ.). მე-13 ტურში ოსტატების ბ. გურგენიძისა და ა. ბუსლაევის პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ა. გაგუა-გ. გამრეკელის პარტიაში.

ბლაგიძემ დაამარცხა ჰ. არნშტეინი, ო. გიორგაძემ — მ. თბილიძე, გ. ჭანტურიამ — თ. კიკიანი. დანარჩენი პარტიები გადადიდო.

13 ტურის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს ბ. გურგენიძე, რომელსაც 11,5 ქულა აქვს.

შეჯიბრებაზე ბულგარეთში

29 მარტს მოსკოვიდან ბულგარეთში გაეშგზავნა საბჭოთა კავშირის მოჭიდაობეთა ნაკრები გუნდი. გუნდში შედიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები მერაბ ლუდუშაური (საქართველო), ივანე კოროშენოვი (ბელორუსია), დავით გიგინეიშვილი (საქართველო), როსტომ აბაშიძე (საქართველო) და სხვები.

საბჭოთა მოჭიდავეები კლასიკურ ბრძოლაში შეეჯიბრებიან ბულგარეთის ნაკრებ გუნდს. (საკვლევი).

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პლენარული სხდომა

პეკინი, 28 მარტი. (საკვლევი). როგორც სინხუას საგაზეთო იუწყება, დღეს გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პლენარული სხდომა, რომელმაც განიხილა და მოიწონა 1960 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის (პროექტი) ძირითადი მაჩვენებლები და „მოხსენება 1960 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტის შესახებ“, რომელსაც გააკეთებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ლი ფუ-ჩუნი სრულიად ჩინეთის მეორე მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესიაზე, რომელიც ხვალ იხსნება.

პლენარულმა სხდომამ განიხილა და მოიწონა აგრეთვე მონაცემები 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და პროექტი 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა, აგრეთვე „მოხსენება 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ“, რომელსაც გააკეთებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ლი სიან-ნიანი სრულიად ჩინეთის მეორე მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესიაზე.

კუგის ნოტა

ჰავანა, 29 მარტი. (საკვლევი). 27 მარტს კუბის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა საპროტესტო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადების წინააღმდეგ კუბის მთავრობაში კომუნისტური გავლენის შესახებ. ნოტაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ არავითარ მთავრობას და არავითარ საერთაშორისო ორგანიზაციას არა აქვს არც მორალური და არც იურიდიული უფლება ჩაერიოს პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული კურსის განხორციელებაში, რომელიც თვითონ კუბელმა ხალხმა აირჩია, და ამით დაარღვიოს კუბის სუვერენიტეტი.

ეიზენჰაუერისა და მაკმილანის მოლაპარაკება

ვაშინგტონი, 29 მარტი. (საკვლევ). გუშინ კემპ დევიდში მოსლაპარაკებლად ჩავიდნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი. მოლაპარაკების დაწყების წინ გამოქვეყნდა ამერიკა-ინგლისის ერთობლივი კომუნიკე, რომელიც ორი მთავრობის მეთაურებმა მიიღეს კემპ დევიდში ჩასვლის წინ.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ეიზენჰაუერისა და მაკმილანის შეხვედრის მთავარი მიზანია განიხილონ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ჟენევის მოლაპარაკებათა თანამედროვე მდგომარეობა. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, შეისწავლიან საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წინადადებათა სხვადასხვა ასპექტს. ჟენევის თათბირმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, რამდენადაც იგი განიხილავს ისეთ საკითხს, რომელიც აინტერესებს ყველა ხალხს, და არა მარტო სამ ქვეყანას, რომლებიც ჟენევის მოლაპარაკებაში მონაწილეობენ.

ეიზენჰაუერი და მაკმილანი ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნავენ, რომ მათ შეგნებული აქვთ საბჭოთა კავშირთან ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ საკმაოდ უზრუნველყოფილი კონტროლის შეთანხმების მიღწევის დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც ასეთ შეთანხმებას შეუძლია გამორწყოს პროგრესი შეიარაღების შემცირებისა და მასზე კონტროლის დაწესების უფრო ფართო მასშტაბით.

კომუნიკეს დასასრულს ეიზენჰაუერმა და მაკმილანმა რწმენა გამოთქვეს, რომ მათი მოლაპარაკების შედეგად მიღებულ იქნება შეთანხმება, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მოყვანილებებმა მომავალში, რათა გადაიჭრას პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანა — ხელი შეეწყონ ნამდვილი და სამართლიანი მშვიდობის დამყარებას მთელ მსოფლიოში.

ROზა ტელმანს 70 წელი შეუსრულდა

ბერლინი, 27 მარტი. (საკვლევ). 70 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც დაიბადა როზა ტელმანი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, გერმანიის მუშათა კლასის ბელადის ერნსტ ტელმანის თანამებრძოლი და მეგობარი.

ამ თარიღთან დაკავშირებით იუბილარს მისალმებებით მიმართეს და მრავალ წელს სიცოცხლე და ნაყოფიერი შრომა უსურვეს მშვიდობისა და სოციალიზმის საკეთილდღეოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, სახალხო პალატის პრეზიდიუმმა, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელმა ორგანოებმა.

დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდა მხატვრების, საშხატვრო სახელოვნებლების კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენამ, რომელიც ამას წინათ გაიხსნა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

სურათზე: „ცომბირის დილა“ — გამოფენის მონაწილის, მოსკოველი ახალგაზრდა მხატვრის ლ. ასტაფიევის ფერწერული ნამუშევრის რეპროდუქცია.

საქართველოს კომუნისტი

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მარტის, მესამე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები **მოწინავე** — ზესოლელების შემოწმება ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობაა. განყოფილებაში **ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისთვის** გამოქვეყნებულია: **ი. მირცხულავა** — ვ. ი. ლენინი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელი და ბელადი; **ს. იმწყარველი** — სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელება. **ი. დოლიძე** — პარტიული პროპაგანდა — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ამოცანების დონეზე; **ე. ხუნდაძე** — ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლა მსოფლიო მუშათა რევოლუციური მოძრაობის შემადგენელი ნაწილია.

ჟურნალში წარმოდგენილია განყოფილებები — პარტიული ცხოვრება და მეთოდური რჩევა. აგრეთვე დაბეჭდილია რეცენზიები ახალ მონოგრაფიულ ნაშრომებზე, წერილები ერთი მნიშვნელოვანი თარიღის შესახებ, ფიზკულტურ-სპორტულ მუშაობაზე, სახალხო თეატრებზე და პარტიული ქრონიკა.

30 მარტი

თბილისის ოფიციალური ღონისძიებანი

ოპერისა და ბალეტის — ეუგენი ონეგინი (დღისით), I. ჯამბაზები და II. საკონცერტო განყოფილება (საღამოს მე-7 აბონ. მე-10 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ხალისიანი მეგობრები (დღისით); ისინი შეხვდნენ ერთმანეთს (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — კოლხეთის ცისკარი (დღისით), ჩემი ყვავილეთი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — სიხარულის ძიებაში (დღისით ოფიცერთა სახლში), ირკუტსკის ისტორია (საღამოს, მე-4 აბონ. მე-7 წარმ.), **ხანაულტურის** — არეული დღე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ამბავი ორი ბიჭისა. (აბონ. № 16, 11 ს., აბონ. № 20, 2 ს.), **თოჯინების ქართული** — სიცოცხლის ყვავილი (11 ს. და 2 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი — განკიცხულნი (მეორე სერია), **ოქტომბერი**, ისანი, **სპარტაკი**, **თბილისი**, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ბლეხანოვის სახელობის კლუბი**, **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ჩვენ ვეუბდერკინდები ვართ, **კომკავშირელი** — ნორმანდია-ნემანი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **დიდუბე**, **თანამგზავრი** — მწვანე ფორანი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა**, **ოფიცერთა სახლი**, **კიროვის სახელობის პარკი** — ივანა, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — უსაქმურთა სკოლა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — თეთრი ღამეები, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ყაზბეგი**, **კომუნარების ბაღი** — მეზღვაური ნაპირზე გადმოდის, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — სად არის შენი ბედნიერება, მზია?

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღებისა — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 01590 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. ლენინის ქ. № 14. 1